ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის აპრილის 16	№ 7 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 70. დროებითი დებულება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტების შესახებ.

„ 71. საწარმოთა სავაჭრო რეგისტრაციის შესახებ.

„ 72. ა/კ. რკ. გზებზე მომმდარი კატასტროფებისა და შემთხვევების გამო ალძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1929 №-რის განმარტებისა და 79 №-რის დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 73. ეკსკურსანტ-მოსწავლეთა სამგზავრო საშვლავითო ტარიფის შესახებ.

„ 74. მუშათა საბინაო მშენებლობის საკიროებათათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის მიზნობრივი ზედნართის გადახდევინების შესახებ.

„ 75. საავტო საზოგადოება „რუსეთის ფილარმონიის“ ადგილობრივი გადასახად-გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 76. სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვისათვის გამოსაღების გადახდეზინების დროს ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა ეში პროდუქტების შეფასების შესახებ.

„ 77. ფეხსაცმლის ფასების შემცირების შესახებ.

„ 78. კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა და სახელმწიფო კაპიტალის მეტობრივი ბედაწილეობით მომქმედ საავტო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა), საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ.

„ 79. დროებით მომუშაკე მუშათა და მოსამსახურეთა შრომის პირობების შესახებ.

„ 80. შრომის ბირეების მიერ რეგისტრაციის წარმოებისა და სამუშაოზე გაგზავნის წესის შესახებ.

„ 81. სხიმპორტო შაბიამანისა და საკაბირო წარმოებისა შაბიამანის ფასის შესახებ.

„ 82. სახზე „შინარარ“-ის ბშენებლობისათვის საჭირო ვაგონების მისაკუთებელი შეღავათიანი ტარიფის გაუქმების შესახებ.

მუხ. 83. ა/კსფსრ ტერიტორიაზე საბითუმო ვაჭრობისათვის ზომა-წონის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.
„ 84. მშრომელთათვის საშიშ და მავნე ხასიათის შრომის კლასიფიკაციაში თივის წნეხვის სამუშაოს მოთავსების შესახებ.
„ 85. ა/კ. ცენტრალური აღმ. კ-ტის მიერ საბჭოთა არჩევნების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მე-13 მუხლის „ა“ პუნქ. დამატების შესახებ.
„ 86. ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ საბჭოთა არჩევნების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მე-19 მუხლის დამატების შესახებ.
„ 87. შრომის დაცვის სფეროში ოპერატიული გეგმების შედგენის შესახებ.
„ 88. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ. დაწესებულებათა კაპიტალების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 10 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

70. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დროებითი დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მარტის 10. ტფილისი—სასახლე.

დროებითი დებულება აკსფსრ შედგენილოვაში შემავალი რესპუბლიკების მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტების შესახებ

I. მშენებლობის საქმის ტეხნიკურად მოსაწესრიგებლად, მშენებლობის ნორმებისა და მშენებლობისათვის საჭალდებულო დადგენილებების შესამუშავებლად და შესათანხმებლად, აგრეთვე საამშენებლო მუშაობისათვის ტეხნიკური ინსპექტორობის გასაწევად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებთან დაარსდებიან მშენებლობის ტახნიკური კომიტეტები.

II. მშენებლობის ტეხნიკურ კომიტეტს დაეკისრება:

1. შეიმუშაოს და განიხილოს მშენებლობის შესახები ყველა დადგენილების პროექტი, რაც-კი საკანონმდებლო დაწესებულებებში შეიტანება, და დასკვნა მისცეს ამ პროექტების გამო.

2. შეიმუშაოს საკითხები და ხელმძღვანელობა გაუწიოს უწყებათა მუშაობას ისეთი საგნების შემუშავებისა და გადასინჯისათვის, როგორიც არის:

ა) ნორმები სატეხნიკო ტ ხახანძარო უშიშროებისა, რაციონალური გეგმვისა და აღნაგობისა და ტეხნიკური და სასანიტარო-სატეხნიკო მოთხოვნებისა;

ბ) საგადანაკეთო ნორმები მუშა-ძალის სამუშაო ხელფასისა და მასალების სამუშაო ერთეულის მიხედვით;

გ) წესი ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა, ტეხნიკური ანგარიშგებისა და საკონკურსო პროგრამების პროექტების შედგენისა, მსვლელობისა და დამტკიცებისა;

დ) წესი და ტეხნიკური პირობები საამშენებლო სამუშაოს და მასალების გაცემისა და მიღებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ტეხნიკური პირობები მუშაობის წარმოებისა;

3) წესი ტეხნიკური და საფინანსო კონტროლის გაწევისა მშენებლობის დარგში განსაზღვრული ნორმებისა და წესების შესრულებისათვის.

3. შეიმუშაოს დებულება ადგილობრივ და სამაზრო საამშენებლო-სატეხნიკო ზედამხედველობის ორგანოების შესახებ.

4. ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივი და სამაზრო საამშენებლო-სატეხნიკო ზედამხედველობის ორგანოების მუშობას და სათანადოდ წარმართოს იგი.

5. შეიმუშაოს საკითხები და ღონისძიებანი მშენებლობის რაციონალიზაციისა, სტანდარტიზაციისა და გაიაფებისათვის.

6. განიხილოს, დასკვნა მისცეს და დამტკიცოს ახალი და კაპიტალურად გადასაკეთებელი ნაგებობისა, აგრეთვე კაპიტალური რემონტის სამუშაოს პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, არსებული წესებისა და ხარჯთაღრიცხვების მოთხოვნათა მიხედვით (ამა დებულების მე-II მუხ. მე-2 პუნქტი); ამასთანავე მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

7. განიხილოს და დამტკიცოს ქალაქისა, აგარაკისა, დასახლებული ადგილისა და სოფლის აღნაგობის ახალი გეგმვისა და მოწესრიგების პროექტები.

შენიშვნა. საამისო ინსტრუქცია მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის კომპეტენციის ფარგლების შესახებ განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ.

8. გაუწიოს სატეხნიკო-საინსპექტორო ზედამხედველობა ახალი და კაპიტალურად გადასაკეთებელი ნაგებობის მუშაობის წარმოებას, აგრეთვე მშენებლობისათვის განსაზღვრული კანონდებულებისა, ნორმებისა და წესების შესრულებას; ამასთანავე, ამ ზედამხედველობის მუშაობის ფარგალს განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი.

9. შეჯუმლოს და პერიოდულად გამოაქვეყნოს რესპუბლიკაში არსებული საამშენებლო მასალისა და მუშა ხელის საცნობარო ფასები.

10. შეადგროს და შეჯუმლოს მასალები იმის გამოსარკვევად, თუ უახლოეს ხუთის წლისათვის და თვითეული წინამდებარე წლისათვის რაოდენი სამუშაოა რესპუბლიკის ყოველგვარი მშენებლობის დარგში და რა ღირს ეს სამუშაო.

III. ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია მოვალეა წარუდგინოს მშენებლობის ტეხნიკურ კომიტეტს, მის მიერ დადგენილ ვადაზე და ფორმით, საანგარიშო მონაცემები და ცნობები წარმოებული მუშაობის შესახებ.

IV. უკეთუ მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტი, ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროს, აღმოაჩენს მშენებლობის საერთო-სახელმწიფოებრივი ნორმებისა და საველდებულო დადგენილებების დარღვევას, —მას უფლება აქვს:

ა) მოითხოოს შემჩნეული ნაკლის შესწორება და თავიდან აცილება; ბ) უკეთუ ეს მოთხოვნა აღსრულებულ არ იქნა, შეადგინოს აქტი და დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს ადმინისტრატიული ან სასამართლო წესით; გ) უკეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ უშიშროებას აშკარა საფრთხე მოელის, შეაჩეროს სათანადო ორგანოს მეშვეობით მუშაობის წარმოება და გადააყენოს ის პირი, ვინც პასუხისმგებელია ამ მუშაობის წარმოებისათვის, ვიდრე საქმეს სასამართლო გადასწყვეტდეს.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული უფლებანი მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტისა განხორციელდება სათანადო სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი აღასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

V. საჩივარი მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის არა-სწორ გადაწყვეტილებაზე და მისი თანამდებობის პირის მოქმედებაზე შეიტანება არსებული წესისამებრ ეკონომიურ თათბირში.

VI. მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის წევრთა რიცხვს და მის პერსონალურ შედგენილობას განსაზღვრავს ეკონომიური თათბირი; იგივე დანიშნავს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

VII. მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის მუდმივი სამუშაო აპარატი შედგება თავმჯდომარისა, თავმჯდომარის მოადგილისა და მშენებლობის სპეციალისტ-თანამშრომელთა საჭირო რიცხვისაგან განსაზღვრული წესისამებრ დამტკიცებული შტატის მიხედვით. იმ თანამშრომელს, რომელიც მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის წევრი არ არის, თავმჯდომარე დანიშნავს.

VIII. ამა თუ იმ უწყების ინტერესების შესახები საკითხის განხილვის დროს მიწვეულ უნდა იქნეს ამ უწყების წარმომადგენელი.

IX. კომიტეტი აწარმოებს თავისი სხდომების ჟურნალს და მისთვის წარდგენილი პროექტების დამტკიცებისა და მათ გამო დასკვნის მიცემის განსაკუთრებულ აღნუსხვას.

X. მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტი არსებობს ეკონომიური თათბირის ხარჯთაღრიცხვით.

XI. ამა დებულების განსავითარებლად შეიძლება გამოცემულ იქნეს განსაკუთრებული ინსტრუქციები, რასაც შეიმუშავებს სათანადო რესპუბლიკის მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტი და დამტკიცებს ეკონომიური თათბირი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1440 №-ში 1927 წ. აპრილის 1-ს.

დადგენილება № 16|131 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 28.

71. სავაჭრო რეგისტრაციის წარმოებაზე გადასვლის შესახებ.

სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ „1925 წ. ოქტომბრის 20-ს დებულების წესისამებრ (კან. კრ. 1925 წ. 82 №-რი, მუხ. 623) სავაჭრო რეგისტრაციის წარმოებაზე გადასვლის შესახებ“ 1927 წ. თებერვლის 24-ს თარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღით გამოცემული დადგენილების მე-II მუხ. თანახმად—შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაევალოს: ა) სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთ და მათ შენაერთთ, ბანკებს, საკრედიტო დაწესებულებათ და კოოპერატიულ კავშირებს, რომელთაც სამოქმედო რაიონად ა/კსფსრ აქვთ, სააქციო საზოგადოებათ (საპაიო პმბ-ბათ), შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობათ, უკეთუ მათი დებულებანი და წესდებანი დამტკიცებულია ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოების მიერ; ბ) სსრ-სა და ა/კსფსრ-ში შეუფალ რესპუბლიკების სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და შენაერთთა, ბანკებისა, საკრედიტო დაწესებულებებისა, შერეული საზოგადოებებისა და სხვ. განყოფილებებსა და წარმომადგენლობებს, რომელთაც მოქმედების რაიონად ა/კსფსრ აქვთ, და გ) იმ უცხოეთის საწარმოთა წარმომადგენლობებს, რომელთაც მიღებული აქვთ ნებართვა სსრკ-ში სავაჭრო ოპერაციების წარმოებისა,—წარუდგინონ ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ცნობები, თანახმად 1925 წ. ოქტომბრის 20-ს დამტკიცებული სავაჭრო რეგისტრაციის დებულების მე-11, 12 და 13 პარაგრაფებისა, სავაჭრო რეესტრში შესატანად, და აგრეთვე წარუდგინონ ის დოკუმენტებიც, რაზედაც დამყარებულია წარსადგენი ცნობები.

2. დაევალოს ყველა ზემოაღნიშნულ იურიდიულ პირს, რომელიც-კი რეგისტრაციაქმნილია თანახმად ა/კსფსრ წინად არსებული კანონებისა, ხელახლა წარადგინოს ყველა ცნობა და დოკუმენტი, რაც-კი საჭიროა სავაჭრო რეესტრში შესატანად; ამასთანავე განთავისუფლებულ იქნეს იგი დამატებითი სარეგისტრაციო გამოსაღებისაგან.

3. ამა დადგენილების 1-სა და მე-2 მუხ. აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელნი, რომელნიც ვადაზე არ წარადგენენ ცნობებს ან წარადგენენ არასწორ ცნობებს, მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1441 №-ში 1927 წ. აპრილის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 20 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მარტის 3.

72. ა/კ. რკ. გზებზე მომხდარი კატასტროფებისა და შემთხვევების გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აპრილის 3-ს თარიღისა და მე-2 №-რის განმარტებისა და 1926 წლის დეკემბრის 31-ს თარიღისა და 79 №-რის დადგენილების გაუქმების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა თაობაზე“ 1926 წლის მარტის 15 თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ“ 1927 წ. იანვრის 31-ს თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1398 №-რი 1927 წ. თებერვლის 8-სა) მე-3 მუხ. თანახმად და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წლის აპრილის 3-ს თარიღისა და მე-2 №-რის განმარტებისა და 1926 წლის დეკემბრის 31-ს თარიღისა და 79 №-რის დადგენილების გასაუქმებლად,—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. რადგანაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს ჩამოერთვა საქმეები რკინისგზის აგენტების დამნაშაობის გამორკვევისა და მათთვის გადასახდელის დადების შესახებ ა/კ. რკინისგზებზე მომხდარი ისეთი კატასტროფების გამო, რამაც გამოიწვია მოძრავი შედგენილობისა და გზის დაზიანება ან გზის მომუშაავთა რუ სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე რკინის გზებზე მომხდარი შემთხვევების გამო, როგორიც არის მაგალითად: ა) მატარებლის მიერ დახურული სემაფორის გავლა, ბ) მატარებლის მიერ ნებადაურთველად გასაჩერებელ პუნქტზე გავლა, გ) შეცდომით მატარებლის გაშვება დაკერილი გზით, დ) შეცდომით მატარებლის გაშვება შეუსაბამო გზით, ე) დაკერილ გზაზე მატარებლის მიღება, ვ) სადგურიდან ორთქლმავლისა ან მოძრავი შედგენილობის წასვლა, ზ) მატარებლის გაჩერება ბოროტგანზრახული დაბრკოლებისა ან გზის გაფუჭების ადგილას, უკეთუ ეს შემჩნეულ იქნა მატარებლიდან და შემოზღუდული არ იყო, და სხვა ამისთანა შემთხვევა, რაც გამოწვეულია ტენნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევით (ა/კსფსრ ცენტრ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: 1925 წ. სექტემბრის 14-სა „სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივნისის 20-ს დადგენილების ა/კ. რკ. გზებზე გავრცელების შესახებ“, 1926 წ. მარტის 15-სა „ა/კ. რკ. გზებზე კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ“ და 1927 წ. იანვრის 31-სა „ა/კ. ცენტრ. აღმ. კომ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა თაობაზე“ 1926 წ. მარტის 15-ს თარიღით გამოცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების დამატების შესახებ"), „შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მიერ ამა მუხლში აღნიშნულ საქმეთა კატეგორიის განხილვა, თუნდაც ამ საქმეებს კაუშირი ჰქონდეს რკინის გზის აგენტების სამსახურიდან დათხოვნასთან, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ და, უკეთუ ეს გამოაშკარავებულ იქნა, გაუქმებულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მიერ ზედამხედველობის წესით.

2. შეფარდება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. იანვრის 16-ს განმარტებისა „შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ე" პუნ. შეფარდების წესის შესახებ" (შრომის მომქმედი კანონმდ., 1926 წ. გამოც.) ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ, ა/კ. რკ. გზებზე მომხდარ კატასტროფებისა და შემთხვევების გამო აღძრულ საქმეთათვის, რაც განხილულ უნდა იქნეს განსაკუთრებული წესისამებრ ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საშემთხვევო კომისიის მიერ, — არ შეიძლება.

3. გადასახდელს კატასტროფებისა და შემთხვევის გამო აღძრულ არა-სასამართლო საქმეთა თაობაზე დადგებს რკინისგზების ადმინისტრაცია (სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (ა/კსფსრ-ში) და ა/კ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარის სახით), უკეთუ გადაწყვეტილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საგზაო საშემთხვევო კომისიის მიერ გამოტანილ იქნება ერთხმად ან ხმის უმეტესობით.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროს უმცირესობის ჯგუფში დარჩენილ წევრთ შეუძლიანთ შეიტანონ ა/კ. რკ. გზ. შრომის უფროსი ინსპექტორის მეშვეობით საჩივარი საგზაო კომისიის გადაწყვეტილებაზე ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში, რომელიც დაადგენს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 31-ს დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად.

5. დადებული გადასახდელით უკმაყოფილო გზის აგენტს შეუძლიან განაცხაჩივროს მესვეს შეფარდებული გადასახდელი შემდგომობის წესით პარიტეტულ კომისიაში, საგზაო პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელთა შედგენილობით.

პარიტეტული კომისიის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო აგენტს უფლება აქვს განასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, ა/კ. რკ. გზ. შრომის უფროსი ინსპექტორის მეშვეობთ, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში, რომელიც დაადგენს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას ა/კ. ცენტრ. აღმ. კომ-ტისა და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 14-ს დადგენილების თანახმად (ა/კსფსრ შრომის მომქმ. კანონმდ. 1925 წ. მე-17 №-რი).

6. ჩაითვალოს ძალადაკარგულად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აპრილის 3-ს თარიღისა და მე-2 №-რის განმარტება „კატასტროფების გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ" და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. დეკემბრის 31-ს თარიღისა და 79 №-რის დადგენილება „ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აპრილის 3-ს თარიღისა და მე-2 №-რის განმარტების შეცვლის შესახებ".

7. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წ. თებერვლის 8-დან.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის საერთო-საორგ. განყ. გამგე **მელნიკოვი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის ზედამხედველობის ბიუროს გამგე **აბაშიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1441 №-ში 1927 წ. აპრილის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი

დადგენილება აკ. რკ. გზ. ადგ. საშუალოგასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. აპრილის 1. № 5/P.

73. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილ ექსკურსანტ-მოსწავლეთა ექსკურსიებისათვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი მიმოსვლის საშეღავათო ტარიფის დაწესების შესახებ.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილი ექსკურსანტ-მოსწავლეთა ექსკურსების მგზავრობისათვის არა უმეტეს ათასი კაცისა ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსვლის ფარგალში (გზის ფარგალში) დაწესებულ იქნეს ადგილობრივი ტარიფი მომქმედი საერთო (ნორმალური) ტარიფის ნახევარი ტარიფის რაოდენობით.

ტარიფი ესე დაწესდება ვადით მიმდინარე წლის აპრილის 1-დან ოქტომბრის 1-დე, შემოიღება სამოქმედოდ ტელეგრაფით და შეფარდებულ იქნება იმ შემთხვევაში, უკეთუ გაგზავნის სადგურებზე წარდგენილ იქნება მარტო ერთის მგზავრობისათვის ძალის მქონე ა/კ. რკ. გზ. 1-ლი №-რის ფორმის მოწმობა, რომელიც შევსებული უნდა იყოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ თვითეულ ექსკურსანტზე ცალკე, ხელმოწერილი პასუხისმგებელი პირის მიერ, ბეჭედ-დასმული და, ამას გარდა, ა/კ. რკ. გზ. საშემოსავლო განყოფილების მიერ ვიზის სახით ბეჭედ-დასმული, ურომლისოდაც ამ მოწმობას ძალა არ ექნება.

ტარიფი ესე რბილ ეაგონში და სასწრაფო მატარებელში მოგზაურობაზე არ გავრცელდება. ადგილის დასაჯერად საჭირო პლაცკარტის სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ უმონაკლებოდ.

ამა ტარიფით მიმომსვლელ პირს, ბილეთისა და სამგზავრო მოწმობის ტალონთან ერთად, ხელთ უნდა ჰქონდეს აგრეთვე და წარუდგინოს კონტროლს დოკუმენტი, რომლითაც დამტკიცდება, რომ მას უფლება აქვს ამა ტარიფით იმგზავროს.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1441 №-ში 1927 წ. აპრილის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 7 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. თებერვლის 10.

74. მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებათათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის მიზნობრივი ზედნართის გადახდევინების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. იანვრის 18-ს დადგენილება „მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებათათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის მიზნობრივი ზედნართის გადახდევინების შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოციალური დაზღვევის
მთავარ სამმართველოს უფრ. მაგ. **ევანგულოვი.**

შეთანხმებულია ა/კსფსრ ფინ. სახ. კ-ტთან:

ა/კ. ფინ. სახ. კ-ტის საბიუჯ. სამმართველოს უფროსი **უბირია.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. იანვრის 18, № 4.

მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებათათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის მიზნობრივი ზედნართის გადახდევინების შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, სოციალური დაზღვევის ცენტრალური სატრანსპორტო სექციის რწმუნებულთ, საგზაო, წყალთა-სარაიონო და წყალთა-საგზაო სოც. დაზღვევის სალაროებს.

ვიდრე გამოიცემოდეს დაწვრილებითი ინსტრუქცია სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სოციალური დაზღვევის გადასახადის მიზნობრივი ზედნართის დაწესებისა და აქედან მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისათვის ანარიცხების გადადების შესახებ—1926 წ. დეკემბრის 21-ს თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების შესაფარდებლად („სსრკ ცენ. აღმ. კომ-სა და სრ. რუს. ცენ. აღმ. კ-ს იზვესტია“-ს 1927 წ. იანვრის 12-ის მე-9 №-რი), რომელი ინსტრუქციაც გათვალისწინებულია ხსენებული დადგენილების მე-6 მუხლით,—სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სოციალური დაზღვევის სალაროებმა უნდა მოახდინონ მიზნობრივი ზედნართის დარიცხვა სსრკ ცენ. აღმ. კ-სა და სახ. კომისართა საბჭოს 1926 წ. დეკემბრის 31-ს დადგენილების 1-ლი მუხ. განსაზღვრული რაოდენობით და წარუდგინონ ყველა დაწესებულებასა, საწარმოსა, მეურნეობასა და პირს, რომელიც-კი მოვალეა იხადოს სოციალური დაზღვევის გადასახადი, მოთხოვნა დაუყოვნებლივ გაიღოს დარიცხული თანხები.

2. წინა მუხლში აღნიშნული დანარიცხი წარმოებულ უნდა იქნეს მთლად სამუშაო ხელფასის თანხაზე, რაც, 1926 წ. ოქტომბრის 1-დან დაწყებული, დამაზღვეველებმა ფაქტიურად გადაუხადეს სრული დაზღვევით დასაზღვევ პირთ (სსრკ ცენ. აღმ. კ-სა და სახ. კომ. საბჭოს 1926 წ. დეკემბრის 31-ს დადგენ. მე-5 მუხ.).

3. მიზნობრივი ზედნართი არ გავრცელდება სასეზონო და დროებითი მუშების კერძო დაზღვევის გადასახადზე, აგრეთვე იმ შენატანზე, რაც შინამრეწველთ და ხელოსნებს შეაქვთ მათთან შეგირდად მყოფ უპატრონო ბავშვებისათვის დროებითი საშეღავათო ტარიფის მე-V ჯგუფის მიხედვით (სსრკ ცენტ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1926 წ. დეკემბრის 31-ს დადგენილების მე-4 მუხ.).

4. შემდეგში მიზნობრივი ზედნართის დარიცხვა და გადახდევინება უნდა სწარმოებდეს სოციალური დაზღვევის გადასახადის დარიცხვისა და გადახდევინებასთან ერთად.

5. მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდის შესანახად თვითეულმა დამზღვევმა ორგანომ, რომელიც სადასაზღვევო გადასახადს ახდევინებს, უნდა გახსნას სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებაში ცალკე მიმდინარე ანგარიში ამ სახელწოდებით: „მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდის მიმდინარე ანგარიში“. ეს ანგარიში გაიხსნება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველოს სახელზე. ამ მიმდინარე ანგარიშზე ჩაირიცხება დამზღვეველთაგან მიზნობრივი ზედნართის გასასტუმრებლად მიღებული ყოველი თანხა, გამოუნაკლისად.

6. „მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდის მიმდინარე ანგარიშზე“ შემოსული თანხები სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი დაწესებულების პირდაპირი განკარგულებით გადაიგზავნება მოსკოვში სოც. დაზღვ ცენტრ. სამმართველოს მიმდინარე ანგარიშზე, რაც 7427 №-რით სახელმწიფო ბანკის გამგეობასთან არსებობს. აღნიშნულ თანხების გადაგზავნას სახელმწიფო ბანკის დაწესებულება მოახდენს სოციალური დაზღვევის საერთო-საკავშირო ფონდის თანხების გადაგზავნასთან ერთად ამ გადაგზავნისათვის განსაზღვრული წესით.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდგი.**

სოც. დაზ. ცენტრალ. სამმართველოს უფროსი **ნემჩენკო.**

საფონდო განყოფილების გამგე **ფეიგელი.**

შეთანხმებულია სსრკ ფინ. სახ. კ-თან:

სსრკ ფინანსთა სახ. კ-ტის საბიუჯ. სამმართველოს უფროსი **კაბაცკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოტოკა“-ს 1442 №-ში 1927 წ. აპრილის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 11 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

75. საქციო საზოგ. „რუსეთის ფილარმონიის“ ადგილობრივი გადასახად-გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს მიმდინარე 1927 წელს ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან ის კონცერტი და გასტროლი, რასაც საქციო საზოგადოება „რუსეთის ფილარმონია“ მოაწყობს ქ. ქ. ტფილისსა, ბაქოსა და ერივანში

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. აპრილის 4. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1443 №-ში 1927 წ. ასრილის 5-ს.

დადგენილება № 14|129 აკსფსრ შინა-საჭროგისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა

1927 წ. მარტის 22.

76. სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯისათვის გამოსაღების გადახდევინების დროს ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების შეფასების შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ 1926 წ. აგვისტოს 8-ს დამტკიცებული ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 51 მუხლის შენიშვნის თანახმად—ა/კსფსრ შინა-საჭრობისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები ადგენენ:

§ 1. ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების გასინჯისათვის გამოსაღების გადახდევინების დროს (ადგილობრივი ფინანსების დებულების 50—56 მუხ. წესისამებრ) ყველა აღმასრულებელმა კომიტეტმა ა/კსფსრ ტერიტორიაზე უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი უკიდურესი ფასები:

ა. ოთხფეხი საქონელი.

ა) ძროხა	80 მან.
ბ) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	100 „
გ) ცხენი და აქლემი	150 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ხბო და ხაქი	20 მან.
ე) ნერბი-ცხვარი, ვერძი-ცხვარი, თხა	12 „
ვ) ბატკანი, ციკანი და გოჟი 6 თვემდე	4 „
ზ) ღორი	20 „

ბ. ტყავი.

ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის (კამეჩისაც) ახალი ტყავი ერთი ფუთი	9 მან.
ბ) ცხენისა	3 მან.
გ) წვრილფეხა რქოსანი საქონლისა (განურჩევლად დედალ-მამლობისა და წლოვანებისა) თითო ცალი	1 მან. და 50 კაპ.

გ. ბეწვეული.

ა) კვერნა და წავი	20 მან.	ცალი
ბ) მელა	5 „	„
გ) მგელი, დათვი და ფოცხვერი	4 „	„
დ) ტუოა, მაჩვი და კატა	1 „	„
ე) კურდღელი და ბაჭია	20 კაპ.	„
ვ) აღუნიშნელი ვვარისა	1 „	„

დ. ჯაგარი და ცხენის ძუა.

ა) ჯაგარი გაუწმენდელი ფუთი	60 მან.
ბ) ჯაგარი გაწმენდილი და ნახევარ-ფაბრ. ფუთი	100 „
გ) ცხენის ძუა ფუთი	30 „

ე. მატყლი.

ა) ცხვრის მატყლი ფუთი	12 მან.
ბ) თხის მატყლი და ძროხისა, კამეჩისა და ცხენის ბალანი ფუთი	3 „

ვ) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კუდი.

ა) კუდი კუკუზნაქით ფუთი	12 მან.
ბ) ბალანი უკუდო ფუთი	6 „

ზ. ნაწლევი.

ა) ხორცეულის დაუმუშავებელი კომპლექტი	30 კაპ.
ბ) ვერძი-ცხვრის დაუმუშავებელი კომპლექტი	20 „
გ) წვრილი ნაწლევი ცალი	35 „
დ) ბრმა ნაწლევი ცალი	7 „

თ. რქა, ჩლიქი, ძვალი.

ა) რქა, ჩლიქი, ძვალი ფუთი	2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ქ ო ნ ი.

ა) ქონი ტეხნიკური ფუთი . . . . . 7 მან.
ბ) ღორის ქონი ფუთი . . . . . 10 „

კ. ლ ო რ ი.

ა) ღორი ფუთი . . . . . 16 მან.

ლ. ბუმბული და ფრთა.

ა) ბუმბული და ფრთა ფუთი . . . . . 20 მან.

§ 2. ამა დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმებულია ყველა ის დადგენილება, რაც ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების ნორმალური შეფასების საკითხის შესახებ გამოცემულია ა/კსფსრ ფარგლებში ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი რწმუნებულების მიერ რესპუბლიკებში და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

§ 3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

§ 4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგ. **ათაბეკოვი.**

ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გენკინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1443 №-ში 1927 წ. აპრილის 5-ს.

დადგენილება № 15/130 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწვსრაგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 24.

77. ფეხსაცმლის ფასების შემცირების შესახებ.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ა/წ. თებერვლის 26-ს თარიღისა და 496 №-რის ბრძანების თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, ა/წ. მარტის 22-ს თარიღისა და 12-127 №-რის დადგენილების დასამატებლად, ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შემცირებულ იქნეს ფეხსაცმლის საბითუმო საგასაცემო ფასები შემდეგნაირად:

ა) ხრომისა, ოპოიკისა და ხბოს ტყავის—ხრახნიანისა და რანტიანისა ყველა ზომის—ჩექმებზე—8 პროცენტით;

ბ) ძროხის ტყავისა და ცხენის ტყავის—ყველა ზომის ჩექმებზე—5 პროცენტით;

გ) ხრომისა, ოპოიკისა და ხბოს ტყავის მამაკაცის ხარხნიან ფეხსაცმელზე—3 პროცენტით;

დ) ქალისა, ზომა-მიუმწვდარისა (ქალიშვილისა), ბავშვისა (მცირე-ქალიშვილისა) და მცირე-ბავშვისა (ბაღლისა) ხრახნიან ფეხსაცმელზე—5 პროცენტით;

ე) ხრომისა, ოპოიკისა და ხბოს ტყავის მამაკაცისა და ვაჟის რანტიან ფეხსაცმელზე—5 პროცენტით;

ვ) ხრომისა, ოპოიკისა და ხბოს ტყავის ქალისა, ზომა-მიუმწვდარისა (ქალიშვილისა) და ბავშვის (მცირე-ქალიშვილის) რანტიან ფეხსაცმელზე—7 პროცენტით;

ზ) პარუსინის ყოველგვარ ფეხსაცმელზე—5 პროცენტით;

თ) ყოველგვარ სანდალებზე—10 პროცენტით;

ი) შვეროს ყოველგვარ ფეხსაცმელზე—10 პროცენტით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული შემცირება გავრცელდება ყველა წინად დადებულ ხელშეკრულებისა და გარიგების იმ ნაწილზე, რომლითაც საქონელი ა/წ. თებერვლის 26-დე ჩაბარებული არა ყოფილა.

3. ფეხსაცმლის ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით გაყიდვის დროს წანამატი დაერთვის იმ ნორმების თანახმად, რაც დაწესებულია ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. მარტის 22-ს თარიღისა და 12-127 №-რის დადგენილებით; თანაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საბითუმო საგასაცემო ფასების შემცირება.

4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

5, ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისტლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორიც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. ამა დადგენილების ის ნაწილი, რაც საგასაცემო ფასებს შეეხება (მუხ. 1-ლი), ძალაში შედის ა/წ. თებერვლის 26-დან; ხოლო ის ნაწილი, რაც საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობითი ფასებს შეეხება (მუხ. მე-3), ძალაში შედის დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო.კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართვ. უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1443 №-ში 1927 წ. აპრილის 5-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 12 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

78. კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა და სახელმწიფო კაპიტალის მეტობრივი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეალოს კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა, აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) ხელმძღვანელ ორგანოებს, რომელშიაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარობს, და რომელთაც რეგისტრაცია ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში და კომისარიატის რწმუნებულების (ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში) სამმართველოებში უკეთდებათ, დაუყოვნებლივ განახორციელონ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირება არა ნაკლებ 15%-სა იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ფაქტიურად გაწეულ იყო 1925 26 საოპერაციო წელში; ამასთანავე ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მთლად ის სამუშაო, რაც გათვალისწინებულია 1926-27 წ. გეგმით.

2. საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შესამცირებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა:

ა) სამმართველო აპარატის სტრუქტურის გამარტივება;

ბ) შტატების შემცირება აპარატის სტრუქტურისა, მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესების საფუძველზე და, ამასთან დაკავშირებით, სამუშაო ხელფასის ფონდის შემცირება, ხოლო არსებული სამუშაო ხელფასის განაკვეთების შეუმცირებლად;

გ) სამმართველო ორგანოთა სადგომების მოვლა-შენახვაზე გასაწევი ხარჯების რეალური შემცირება და ამ სადგომების სივრცე-სიდიდის შეფარდება დაწესებულ ნორმებთან;

დ) წარვლინების მაქსიმალური შემცირება და საწარვლინებო ხარჯების გაცემის დროს სათანადო წესების ზედმიწევნით დაცვა;

ე) წარმომადგენლობათა რიცხვის შემცირება მინიმუმამდე და მხოლოდ ისეთი წარმომადგენლობის დატოვება, რაც აუცილებლად საჭიროა;

ვ) პატარ-პატარა საკუთარი გარაჟების ლიკვიდაცია და მიმოსვლისათვის უპირატესად საყოველთაო მიმოსვლის საშუალებათა გამოყენება;

ზ) თათბირების მოწვევისათვის და ამ თათბირებისათვის მომსახურების გასაწევად საჭირო ხარჯების შემცირება;

თ) ყოველი ისეთი ხარჯის სრულიად აცილება, რასაც-კი პირდაპირი კავშირი არა აქვს საწარმოს მიზნებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს წარუდგინონ 1927 წ. მაისის 1-თვის სათანადო რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს მოხსენება მათ ქვემდებარე საწარმოთა ხარჯების შემცირების შესახებ 1926-27 საოპერაციო წლისათვის.

4. დაეკისროს ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს— შეამოწმონ, შეამცირეს თუ არა ნამდვილად, ამა დადგენილების თანახმად, სამეურნეო ორგანოებმა თავიანთი ხარჯები.

5. დაევალოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს წარუდგინონ 1927 წ. მაისის 1-თვის სათანადო რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს თანამოხსენებანი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების იმ მოხსენებების გამო, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-3 მუხ., და აგრეთვე წარუდგინონ მოხსენებანი იმ საწარმოთა მიერ ხარჯების შემცირების შესახებ, რომელნიც ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს არ ექვემდებარებიან.

6. დაევალოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს წარმოადგინოს 1927 წ. მაისის 15-თვის მოხსენება ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ და რესპუბლიკაური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა ამავე ხარჯების შემცირების შედეგის შესახებ.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მარტის 31. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1444 №-ში 1927 წ. აპრილის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

79. დროებით მომუშავე მუშათა და მოსამსახურეთა შრომის პირობების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 14-ს დადგენილების („იზვესტია"-ს 53 №-რი 1927 წ. მარტის 3-სა) თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომის კანონთა კოდექსის 34 მუხლს (ა/კსფსრ ფუდ. კავშირის კან. კრ. 1923 წლის მე-7 №-რი, მუხ. 89) დაემატოს შემდეგი:

34[23]. დროებით მომუშავე მუშად და მოსამსახურედ ჩაითვლება:

ა) ის მუშა და მოსამსახურე, ვისაც დაიქირავებენ განსაზღვრული ვადით ორი თვის ფარგალში ან არაგანსაზღვრული ვადით, ხოლო არა უმეტეს ორი თვისა;

ბ) ის მუშა და მოსამსახურე, ვისაც თუმცა ორ თვეზე მეტი ვადით დაიქირავებენ, ხოლო არა უმეტეს ოთხი თვისა, დროებით წასული მომუშაევის მაგიერობის გასაწევად, რომელსაც, კანონის თანახმად, შეენახება მისი თანამდებობა.

34[25]. დროებით მომუშაევ მუშად და მოსამსახურედ დაქირავებულ მშრომელს ეს გარემოება წინადვე უნდა განეცხადოს, შრომის ხელშეკრულების დადების დროს.

34[26]. დროებით მომუშაევ მუშასა და მოსამსახურეზე შრომის საერთო კანონმდებლობის მოქმედება გავრცელდება იმ გამონაკლისით, რაც ქვემო მუხლებშია დადგენილი.

34[27]. ამა თუ იმ საწარმოსა, დაწესებულებასა და მეურნეობაში მომქმედი კოლლეკტიური ხელშეკრულობა (სატარიფო შეთანხმება) დროებით მომუშაევ მუშასა და მოსამსახურეზე გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულობით (შეთანხმებით).

34[28]. დროებით მომუშაევ მუშასა და მოსამსახურეს მიეცემა ანგარიშგასწორების წიგნაკი, იმისდა მიუხედავად, თუ რა ვადით არის დაქირავებული, უკეთუ იგი დაქირავებულია ორ კვირაზე მეტი ვადით ან ფაქტიურად ორ კვირაზე მეტი იმუშავა.

34[29]. დაქირავებულს შეუძლიან მოშალოს შრომის ხელშეკრულობა და ეს დამქირავებელს ერთი დღე-და-ღამით წინ უნდა განუცხადოს წასვლამდე.

34[30]. უკეთუ დროებით მომუშაევ და მოსამსახურე განსაზღვრული ვადით არის დაქირავებული, დამქირავებლის მიერ შრომის ხელშეკრულობის მოშლა შეიძლება:

ა) უკეთუ საწარმოს, დაწესებულებისა და მეურნეობის სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია მოხდა, აგრეთვე უკეთუ საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში სამუშაო შემცირდა;

ბ) უკეთუ მუშაობა საწარმოში ან მეურნეობაში შეჩერებულ იქნა ერთ კვირაზე მეტი ვადით წარმოებითი ხასიათის მიზეზის გამო;

გ) უკეთუ გამოირკვა, რომ დაქირავებული არ ვარგა იმ სამუშაოსათვის, რისთვისაც დაქირავებულია;

დ) უკეთუ დაქირავებული არ შეასრულებს მისთვის შრომის ხელშეკრულობით დაკისრებულ მოვალეობას ან შინაგანი განრიგების წესებს;

ე) უკეთუ დაქირავებული ხელისუფლების სათანადო ორგანოს მიერ პასუხისგებაში იქნა მიცემული სისხლის სამართლის წესით ისეთი ქმედობის ჩადენისთვის, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მის მუშაობასთან, ან უკეთუ დაქირავებულმა დაჰყო პატიმრობაში ერთ კვირაზე მეტ ხანს;

ვ) უკეთუ დაქირავებული ერთი თვის განმავლობაში სამს თღეზე მეტ ხანს არ გამოცხადდა სამუშაოდ არაპატივსადები მიზეზით;

ზ) უკეთუ დაქირავებული ერთ კვირაზე მეტ ხანს არ გამოცხადდა სამუშაოდ დროებით შრომის უნარდაკარგულობის გამო ან სამს დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ზედი-ზედ სხვა პატივსადებ მიზეზის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დათხოვნისათვის საჭირო არ არის შემჯასებელ-საკონფლიქტო კომისიის წინასწარი გადაწყვეტილება, ხოლო დაქირავებულს უფლება აქვს დათხოვნის გამო დავა აღძრას საქონფლიქტო წესით; ამასთანავე საჩივარი არასამართლიანად დათხოვნის გამო განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი კვირისა დათხოვნის დღიდან.

34[31]. განსაზღვრული ვადით დაქირავებულ დროებით მომუშავე მუშასა და მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილ იქნება დაწესებულებისა, საწარმოს ან მეურნეობის ლიკვიდაციის გამო, სამუშაოს შემცირების გამო ან მუშაობის ერთ კვირაზე მეტი ვადით შეჩერების გამო (34[30] მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქ.),—დამქირავებელმა სამი დღე-და-ღამით ადრე დათხოვნამდე უნდა განუცხადოს, რომ დათხოვნილია. უკეთუ ეს წინასწარი გაფრთხილება არ მოხდა, დაქირავებულს მიეცემა გამოსასვლელი დახმარება სამი დღის საშუალო სამუშაო ხელფასის რაოდენობით.

სხვა დანარჩენ შემთხვევაში განსაზღვრული ვადით დაქირავებული დროებით მომუშავე მუშისა და მოსამსახურის დათხოვნისათვის (34[30] მუხ. „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნქ.) გაფრთხილება დათხოვნის შესახებ ან გამოსასვლელი დახმარების მიცემა საჭირო არ არის.

34[32]. უკეთუ დროებით მომუშავე მუშა და მოსამსახურე არაგანსაზღვრული ვადით არის დაქირავებული, დამქირავებელს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულობა ამა თუ იმ დროს, მიზეზის განუმარტებლად, ხოლო ეს წინასწარ უნდა განუცხადოს ერთი დღე-და-ღამით ადრე დათხოვნამდე ან, თუ არ განუცხადებს, მისცეს ერთი დღის საშუალო სამუშაო ხელფასი.

34[33]. ვინიცობაა შრომის ხელშეკრულობა მოშლილ იქნება იმის გამო, რომ დამქირავებელი დაარღვევს ნაკისრებ ვალდებულებას, დაქირავებულს უფლება აქვს მიიღოს გამოსასვლელი დახმარება სამი დღის საშუალო სამუშაო ხელფასის რაოდენობით, უკეთუ იგი განსაზღვრული, ერთ თვეზე მეტი, ვადით არის დაქირავებული, და ერთი დღის სამუშაო ხელფასის რაოდენობით—სხვა დანარჩენ შემთხვევაში.

34[34]. უკეთუ დროებით მომუშავე მუშისა და მოსამსახურის მუშაობის ვადა ერთ კვირას აღემატება, სამუშაო ხელფასი, დაქირავებულის მოთხოვნისამებრ, უნდა ეძლეოდეს მას კვირაში ერთხელ მაინც.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება ისეთ დროებით მომუშავე მუშასა და მოსამსახურეზე, რომელიც დროებით წასული მომუშავის ადგილზეა დაქირავებული (34[23] მუხ. „ბ“ პუნქ.)

34[35]. პრეტენზია ანგარიშის არა სამართლიანად გასწორების გამო განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა საბოლოო ანგარიშის გასწორებისა დღიდან.

34[36]. უკეთუ დაქირავების ვადა ექვს დღეს არ აღემატება, მუშაობა ყოველკვირეული დასვენების დღეს, სადღესასწაულო დღეს და განსაკუთრებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვენების დღეს, ამ ექვსი დღის ფარგლებში, შეიძლება სწარმოებდეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა და შრომის ინსპექციის უდასტუროდ და ამ მუშაობისათვის სასყიდელი, შეპირებული სამუშაო ხელფასთან შედარებით, გადიდებული რაოდენობით არ უნდა იქნეს გაღებული.

ამ შემთხვევაში არც საკალდებულოა აგრეთვე სამუშაო დროის შემცირება დასვენებისა და დღესასწაულის წინა დღეს.

34[27]. უკეთუ დროებით მომუშავე მუშამ და მოსამსახურემ არ შეასრულა სამუშაო დამქირავებლის განკარგულებით მუშაობის შეჩერების გამო, სამუშაო ხელფასი გაცდენილი დროისათვის, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ერთი კვირისათვის, მიეცემა მას სატარიფო განაკვეთის რაოდენობით. სხვა შემთხვევაში, უკეთუ დაქირავებული არ შეასრულებს სამუშაოს მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი არ შეასრულებს სამუშაოს დამქირავებლის განკარგულებით ერთ კვირაზე მეტი დროის განმავლობაში, გასამრჯელოს რაოდენობა გაცდენილ დროისათვის განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

34[28]. უკეთუ დროებით მომუშავე მუშა და მოსამსახურე მოსპობს მუშაობას იმის გამო, რომ იგი გაწვეულ იქნება იმ მოვალეობათა შესასრულებლად, რასაც მას საკალდებულო სამხედრო სამსახურის კანონი—1925 წ. სექტემბრის 18-სა—ავალებს (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 62 №-რი, მუხ. 463), თანამდებობა და სამუშაო ხელფასი მას არ შეენახება.

სათანადო შემთხვევაში ერთდროული დახმარება იმას, ვისაც ერთ თვეზე მეტი უმუშავნია, მიეცემა ერთი კვირის საშუალო სამუშაო ხელფასის რაოდენობით; იმას-კი, ვინც ექვს დღეზე მეტი იმუშავა, ხოლო არა უმეტეს ერთი თვისა, ერთდროული დახმარება მიეცემა სამი დღის საშუალო სამუშაო ხელფასის რაოდენობით. იმას, ვისაც ექვს დღეზე მეტი არ უმუშავნია, დახმარება არ მიეცემა.

34[29]. დამქირავებელი მოვალე არ არას სამუშაო ხელფასი მისცეს დაქირავებულს იმ დროისათვის, რასაც იგი გააცდენს პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ მოწვეულ ყრილობასა, კონფერენციასა და რწმენებულთა კრებაში წარმოპადგენლის სახით მონაწილეობის მიღების გამო.

34[30]. უკეთუ დროებით მომუშავე მუშა და მოსამსახურე, დამქირავებლის განკარგულებით, ერთი სამუშაო ადგილიდან მეორე ადგილს იქნება გადაყვანილი, მას საწარმავლო ხარჯი აენაზღაურება. სხვაგვარი კომპენსაცია, ავრეთვე სამუშაო ხელფასი წარმავლობის დროისთვის, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება.

34[31]. კომპენსაცია დაქირავებულის კუთვნილი იარაღის გაკეთისათვის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება მოთავსებულ იქნეს სამუშაო ხელფასში.

34[32]. დროებით მომუშავე მუშასა და მოსამსახურეს შვებულებისა ან მისი მაგიერი კომპენსაციის უფლება არა აქვს.

34[33]. დროებით მომუშავე მუშასა და მოსამსახურეს მიეცემა სპეციტანისამოსი (ხელთათმანი, წინსაფარი და სხვ.) და საფრთხის ამაცილებელი ხელსაწყო, რაც საჭიროა წარმოების მაუნებლობისა და საშიშროებისაგან დასაცავად (რესპირატორი, სათვალე და სხვ.), სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის სპეციალური ინსტრუქციის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34^{44}. დროებით მომუშავე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის საქმე მოწესრიგდება შრომისა და თავდაცვის საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

34^{45}. 34^{24} მუხლისა და შემდეგი მუხლების მოქმედება არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე:

ა) როდესაც დროებით მომუშავე მუშამ და მოსამსახურემ იმუშავა თანადობით 34^{24} მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ ვადებზე მეტი ხნის განმავლობაში, შრომის ურთიერთობის განგრძობის გამო;

ბ) როდესაც დათხოვნილი დროებით მომუშავე მუშა და მოსამსახურე ხელახლად იქნება დაქირავებული იმავე საწარმოსა, დაწესებულებასა თუ მეურნეობაში არა უგვიანეს, ვიდრე ერთი კვირისა მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, თანაც უკეთუ მისი მუშაობის ვადა მუშაობის შეწყვეტამდე და მუშაობის შეწყვეტის შემდეგ—ერთობლივ—აღემატება ორ თვეს ან ოთხ თვეს თანადობით.

ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მუშა თუ მოსამსახურე დროებით მომუშაედ აღარ ითვლება იმ მომენტიდან, როცა მის და დამქირავებლის შორის შრომის ურთიერთობა თავდაპირველად წარმოიშვა. ხოლო, უკეთუ დროებით მომუშავე მუშა თუ მოსამსახურე მუდმივ სამუშაოზე იქნა გადაყვანილი, გადაყვანამდე შეტანილი სოციალური დაზღვევის გადასახადი ხელახლად გამოანგარიშებულ არ უნდა იქნეს.

34^{46}. იმ დროებით მომუშავე მუშასა თუ მოსამსახურეს, რომელიც სასეზონო სამუშაოზეა,—34^{24}—34^{45} მუხლების გარდა,— უნდა შეეფარდოს შემდეგი წესები:

ა) სამუშაო დროის ხანგრძლიობა, შრომის სასყიდლის რაოდენობა და გადახდის წესი, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსაზღვრულ იქნეს თანაბრად იმ საფუძვლებისა, რაც მიღებულია ამა თუ იმ სასეზონო სამუშაოზე მყოფ სათანადო კატეგორიის დანარჩენ მომუშავეთათვის;

ბ) ზედმეტი მუშაობა შეიძლება სწარმოებდეს იმავე წესით, რაც დადგენილია ამა თუ სასეზონო სამუშაოზე მყოფ სათანადო კატეგორიის დანარჩენ მომუშავეთათვის;

გ) სასეზონო სამუშაოს გათავების გამო დროებით მომუშავე მუშისა თუ მოსამსახურის დათხოვნის დროს წინასწარი განცხადება დათხოვნის შესახებ ან გამოსასვლელი დახმარების მიცემა საჭირო არ არის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ.ფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მარტის 26. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1445 №-ში 1927 წ. აპრილის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 26 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 7.

80. სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის „შრომის ბირჟების მიერ რეგისტრაციის წარმოებისა და სამუშაოზე გაგზავნის წესის შესახებ“ 1927 წ. მარტის 28-ს თარიღითა და 61 №-რით გამოცემული დადგენილების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღებისათვის.

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. მარტის 28-ს თარიღისა და 61 №-რის დადგენილება „შრომის ბირჟების მიერ რეგისტრაციის წარმოებისა და სამუშაოზე გაგზავნის წესის შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გრიგორიანი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახ. კომისარიატისა

1927 წ. მარტის 28. № 61.

შრომის ბირჟების მიერ რეგისტრაციის წარმოებისა და სამუშაოზე გაგზავნის წესის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს.

სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს მიერ „შრომის ბაზრის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ 1927 წ. მარტის 4-ს თარიღით გამოცემული („სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტისა და სრ. რუს. ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 59 №-რი 1927 წ. მარტის 12-სა) დადგენილების მე-6 მუხ. თანახმად—სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შრომის ბირჟაზე რეგისტრაცია გაუკეთდეს უმუშევართა შემდეგ კატეგორიებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) კვალიფიციური შრომის იმ პირს, ვისაც დაქირავებით უმუშავნია უკანასკნელი წლის განმავლობაში შრომის ბირჟაზე რეგისტრაციამდე, მიუხედავად ამ მუშაობის ხანგრძლიობისა;

ბ) არაკვალიფიციური შრომის იმ პირს, ვისაც დაქირავებით უმუშავნია უკანასკნელი წლის განმავლობაში შრომის ბირჟაზე რეგისტრაციამდე არა ნაკლებ ექვსი თვისა შეუწყვეტლივ;

გ) მოზარდს და ყრმას (21 წლისაზე არა უხნესს)—მუშებისა და მოსამსახურეების შვილებს;

დ) იმ პირს, ვისაც გაუთავებია სპეციალური სასწავლებელი—უმაღლესი და საშუალო (მათ შორის პროფ.-ტეხნიკ. განათლების სკოლა).

შენიშვნა. მოთხოვნა უკანასკნელი წლის განმავლობაში დაქირავებით მუშაობისა (ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქ.) და შრომის სტაჟის ხანგრძლიობის (ამა მუხ. „ა“ პუნქ.) შესახებ არ გავრცელდება პროფესიონალური კავშირის წევრზე.

2. კავშირში მყოფ მუშას რეგისტრაცია შრომის ბირჟაზე გაუკთდება იმის მიუხედავად, თუ რა ხანგრძლიობისაა მისი დაქირავებით მუშაობის სტაჟი და როდის მიატოვა მან უკანასკნელი სამუშაო.

სხვა ადგილიდან მოსული სასეზონო მუშის რეგისტრაცია, როგორც წესი, შეფარდებულ უნდა იქნეს იმ სეზონთან, რა სეზონშიაც გამოიყენება მისი შრომა.

სასეზონო მუშის რეგისტრაცია მოხდება გამარტივებული წესით, რასაც სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი დადგენს.

3. შრომის მძებნელ პირთა ყველა დანარჩენი კატეგორია, რაც გათვალისწინებულ არ არის ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლით, შეიძლება მიღებულ იქნეს შრომის ბირჟის აღნუსხვაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით მარტოოდენ იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია შრომის ბაზარი და რა პერსპექტივები აქვს.

4. იმ პირთათვის, ვინც შრომის ბირჟის აღნუსხვაზე ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული წესით იქნება მიღებული, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული ვადები გამოცხადებისა ბირჟაზე აღსანიშნავად —წელიწადში ორჯერ: იანვრის 1-ლი და ივლისის 1-ლი.

5. უმუშევარის სამუშაოზე გაგზავნა მოხდება იმისდა მიხედვით, თუ კანდიდატთა შორის ვინ უფრო შეესაბამება განცხადებულ მოთხოვნას.

უკეთუ მოთხოვნას რამდენიმე თანაბარი კანდიდატი შეესაბამება, უპირატესობა მიეცემა პროფესიონალური კავშირის წევრს და იმ პირს, ვინც სამუშაოზე გაგზავნის მხრით პროფესიონალური კავშირის წევრებთან არის გათანაბრებული.

იმ პირის სამუშაოზე გაგზავნა, რომელიც შრომის ბირჟის აღნუსხვაზე მიღებულია ამა დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ, მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ 1-ლა და მე-2 მუხლში აღნიშნულ უმუშევართა შორის არ იქნება სათანადო კანდიდატი.

6. დიდ ქალაქებში, სადაც სასეზონო მუშათა დენა ძლიერია, მოეწყობიან შრომის ბირჟის სპეციალური განყოფილებანი, რომელნიც გამოყენებულ იქნებიან სასეზონო მუშებისათვის მომსახურეობის გასაწევად.

7. ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესი რეგისტრაციის წარმოებისა და სამუშაოზე გაგზავნისა ადგილობრივ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს არა უგვიანეს 1927 წ. აპრილის 15-სა.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი**

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის
კოლეგიის წევრი და შრომის სახალხო
კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფ. გამგე **გინდინი.**

შეთანხმებულია სრულიად საკავშირო პროფესიონალურ
კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან: **ბელენკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1446 №-ში 1926 წ. აპრილის 8-ს.

დადგენილება № 17/132 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამართველო)

1927 წ. აპრილის 8.

§1. საიმპორტო „მაკლსფელდ"-ის შაბიამანის ფასისა და სრულიად საკავშირო ქიმიური ტრესტის საზოგადოების ქარხნების საკავშირო წარმოების შაბიამანის ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტის თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. აპრილის 26-ს თარიღისა და 21/77 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საგასაცემო ფასები „მაკლსფელდ"-ის მარკის საიმპორტო შაბიამანზე ფრანკო-ვაგონი ბათუმში უბაჟოდ და სამხედრო-ქიმიური ტრესტის საზოგადოების ქარხნების ნაწარმოებ შაბიამანზე—ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგური—307 მან. და 80 კაპ. ტონნა ან 30,8 კაპ. კილო, ბრუტტო ნეტტოსთვის.

§ 2. დაწესებულ იქნეს ამა დადგენილების 1-ლ §-ში აღნიშნულ ფასზე უკიდურესი წანამატი 1,5 პროც. რაოდენობით ყველა რესპუბლიკანური კოოპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიული ცენტრისა და სახელმწიფო დაწესებულებისათვის, როდესაც ზემოაღნიშნული მარკის საიმპორტო შაბიამანი გაიცემა ბითუმად—ფრანკო-ვაგონი ბათუმში და სამხედრო-ქიმიური ტრესტის საზოგადოების ქარხნების შაბიამანი—ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგური; ხოლო როდესაც იგივე საქონელი გაიცემა ფრანკო—თავისი საწყობიდან—4 პროც. რაოდენობით, იმ ხარჯის დართვით, რაც ფაქტიურად ეღირება სარკინისგზო ფრახტი, საწყობში მიზიდვა, გადმოტვირთვა და დაწყობა.

§ 3. როდესაც აღნიშნული მარკების შაბიამანს პირველი საფეხურის კოოპერაცია უშუალოდ მომმარებელს მიჰყიდის, საგასაცემო ფასზე დაწესებულ იქნეს უკიდურესი წანამატი 11 პროც. რაოდენობით ფრანკო-ვაგონი ბათუმში საიმპორტო შაბიამანისათვის და ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგური—სამხედრო-ქიმიური ტრესტის საზოგადების ქარხნების შაბიამანისათვის, იმ ხარჯის დართვით, რაც ფაქტიურად ეღირება სარკინისგზო, წყალსავალი გზისა და ჰაპანზიდის გზის ფრახტი, დატვირთვა, გადმოტვირთვა, საწყობში მიზიდვა და სხვ.

§ 4. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში წინადადება ეძლევათ იხელმძღვანელონ მე-2 და 3 §§-ში აღნიშნული უკიდურესი წანამატი ძირითად საბითუმო ფასისა და დააწესონ ახალი მტკიცე საგასაცემო ფასები რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრებისათვის და მათი ქვედა ქსელისათვის, აგრეთვე მოვაჭრე სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის.

§ 5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1447 №-ში 1927 წ. აპრილის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება აკ. რკ. გზ. გაგეოგასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. პარილის 4. № 6/P.

82. საზ. „შინარარ"-ის მშენებლობის საჭიროებისათვის ეჩმიაძინის კარიერზე ვაგონების მისაყენებლად არსებული ა/კ. რკ. გზ. 54 (59) №-რის ადგილობრივი ტარიფისა და ერივანის აღმასრულებელი კომიტეტის მშენებლობის საჭიროებისათვის ეჩმიაძინის კარიერზე ვაგონების მისაყენებლად არსებული 50 (51) №-რის ადგილობრივი ტარიფის გაუქმების შესახებ.

რადგანაც არა-საერთო სარგებლობის მისავალ გზებზე ვაგონების მიყენებისათვის ცენტრის მიერ შემოღებულია ტარიფის ახალი განაკვეთები, რაც გამოქვეყნებულია ტარიფთა კრებულის 404 ნომერში 8447 სატარიფო №-რით,— გაუქმებულად ჩაითვალოს საამშენებლო საზოგ. „შინარარ"-ის საჭიროებისათვის ეჩმიაძინის კარიერზე ქვიშის დასატვირთად ვაგონების მისაყენებლად არსებული ა/კ. რკ. 54 (59) №-რის ადგილობრივი ტარიფი, რომელიც გამოცხადებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1787 №-ში ა/წ. იანვრის 26-ს და ტარიფთა კრებულის 406 ნომერში 8496 სატარიფო №-რით; აგრეთვე გაუქმებულად ჩაითვალოს ერივანის აღმასრულებელი კომიტეტის საამშენებლო საჭიროებისათვის ეჩმიაძინის კარიერზე ვაგონების მისაყენებლად არსებული 50 (51) №-რის ადგილობრივი ტარიფი, რომელიც გამოცხადებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1362 №-ში 1926 წ. დეკემბრის 23-ს და ტარიფთა კრებულის 401 ნომერში 8291 სატარიფო №-რით

დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოიღება დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე—გამგეობის წევრი **ტერ-მიქაელიანი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1447 №-ში 1927 წ. აპრილის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკანონმდებლო დადგენილება № 17 აკსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1917 წ. აპრილის 6.

83. ა/კსფსრ ტერიტორიაზე საბითუმო ვაჭრობისათვის ზომა-წონის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 §-ს „გ“ მუხ. შესასრულებლად—ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1927 წ. ივნისის 1-დან მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე მეტრული სიტემა წონისა, სიგრძისა და მოცულობისა ყოველგვარი სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საბითუმო ვაჭრობისათვის, როგორც დახურულ სადგომში, ისე ბაზარზე და სხვ.

2. სავალდებულო დადგენილება ესე, ვიდრე განსაკუთრებული განკარგულება გამოიცემოდეს, არ გავრცელდება: ა) ხე-ტყის მასალის საბითუმო ვაჭრობაზე; ბ) ღვინო-კონიაკი-სპირტის მრეწველობაზე; გ) ხელოვნურ მინერალურ წყალზე და დ) რბილი ტყავის სივრცის გაზომვაზე, რაც ინგლისური საზომით იზომება.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესასრულებლად ყველა საწარმო, როგორც სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო, აგრეთვე ის პირი, რომელიც საბითუმო ვაჭრობას ეწევა, მოვალეა ზემოაღნიშნული ვადისთვის იქონიოს სასწორი, გირები და სხვა საზომ-საწონი მეტრული სისტემისა, რასაც შემოწმებული პალატის დაღი უნდა ჰქონდეს.

ძველი საზომ-საწონთა საქონლის გაცემა ივნისის 1-დან აკრძალულია.

4. ყველა დახურულ სადგომში, სადაც-კი საქონელი ბითუმად გაიცემა, თვალსაჩინო ადგილას გამოკიდულ უნდა იქნეს კედლის ცხრილი რუსული საზომ-საწონის მეტრულ საზომ-საწონად გადანაცვლებისა.

შენიშვნა. ხმარება შეიძლება მხოლოდ ისეთი ცხრილისა, რაც დამტკიცებულია ცენტრალური მეტრული კომისიისა, ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა და საზომ-საწონთა მთავარი პალატის მიერ.

5. ვიდრე სრულად დაიხარჯებოდეს ქონებული მარაგი საფუთავი მასალისა, ამ მასალაზე რუსული საწონით აღნიშნული ძველი წონა გამოსაშვები განწონილი პროდუქციისა გაუქმებულ უნდა იქნეს და შტემპელით გარკვეულად უნდა აღინიშნოს ახალი წონა მეტრული სისტემით. შემდეგში ანაწონი საქონლის ფუთავ უნდა სწარმოებდეს სათანადო მეტრული საწონის მიხედვით, ე. ი. 1 კილოგრამად, 0,5 კილოგრამად და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად ის მარაგი საქონლისა, რაც უკვე შეხვეულია ძველი წონის აღნიშვნით, შეიძლება გაყიდულ იქნეს 1927 წ. სექტემბრის 1-დე, ისე, რომ ეს ძველი წონა არ იქნეს მეტრული სისტემის ზომა-წონაზე გადაკეთებული.

შენიშვნა. სამხედრო უწყებისათვის დამზადებული კონსერვების წონის ერთეულები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ აღნიშნული უწყების თანხმობით.

6. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულთა დაეკისრებათ—მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა მთლად საბითუმო ვაჭრობა თავისდროზე უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო რაოდენობის მეტრული სისტემის საზომ-საწონით, და აგრეთვე მეთვალყურეობა გაუწიონ ამა სავალდებულო დადგენილების თავისდროზე შესრულებას.

7. ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება დაეკისრება ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტებს და ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკებში.

8. ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობისა და კერძო პირი პასუხს აგებს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

ა/კ. საუწყ. მეტრული კომისიის თავმჯდომარე პროფ. **ზავრიევი.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ს 1449 №-ში 1927 წ. აპრილის 12-ს.

დადგენილება № 27 შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. აპრილის 11.

§ 4. „მშრომელთათვის საშიშ და მავნე ხასიათის შრომის კლასიფიკაცია“-ში თვის წნეხვის სამუშაოს მოთავსების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. მარტის 3-ს თარიღისა და 58 №-ის დადგენილება „მშრომელთათვის საშიშ და მავნე ხასიათის შრომის კლასიფიკაცია“-ში თვის წნეხვის სამუშაოს მოთავსების შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტთან არსებული
სოც. დაზღვ. მთავ. სამმართვ. უფრ. **ბანოვიჩი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 53 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

„მშრომელთათვის საშიშ და მავნე ხასიათის შრომის კლასიფიკაცია“-ში თივის წნეხვის სამუშაოს მოთავსების შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. თივის წნეხვის სამუშაო მიეკუთვნოს საშიშ და მავნე ხასიათის შრომის მეორე კატეგორიას.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის მიხედვით „მშრომელთათვის საშიშ და მავნე ხასიათის შრომის კლასიფიკაციას“ (1926 წ. გამოცემა)—„სეერო 1—წარმოება“, „დარგი 1—სასოფლო მეურნეობა, „ჯგუფი 2—გასპეციალიზებული სახე მემცენარეობისა“—დაემატოს ქვე-ჯგუფი მე-7 შემდეგი რედაქციით: „1127 ქვე-ჯგუფი 7. თივის წნეხვის სამუშაო. საშიშროების კატეგორია—II“.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1450 №-ში 1927 წ. აპრილის 13-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

85. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა არჩევნების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მე-13 მუხლის „ა“ პუნქტის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა არჩევნების შესახებ გამოცემული (ა/ასფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 804) ინსტრქციის მე-13 მუხლის „ა“ პუნქტს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**შენიშვნა.** ის პირი, რომელიც სასეზონო სამუშაო საშოვარზე მიდის და თავის მეურნეობაში დროებით ერთი მუშის შრომას იყენებს, არა ჰკარგავს საარჩევნო უფლებას“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. თებერვლის 14. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

86. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა არჩევნების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციისათვის მე-19 მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა არჩევნების შესახებ გამოცემულ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-17 №-რიო, მუხ. 804) ინსტრუქციას დაემატოს მე-19 ◦ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„19 ◦. ცენტრალური კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ, საკითხებს საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა საჩივრების გამო 'გადასწყვეტენ სათანადო საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. თებერვლის 14. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 14 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

87. შრომის დაცვის სფეროში ოპერატიული გეგმების შედგენის შესახებ.

რათა შრომის დაცვის ღონისძიებანი გეგმაშეწონილად იქნეს განხორციელებული, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1- დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია შრომის დაცვის სამუშაოთათვის ოპერატიული გეგმების შედგენის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ყველა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს შემოიღონ სამოქმედოდ აღნიშნული ინსტრუქცია თავიანთ ქვემდებარე, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ, ისე სამეურნეო ანგარიშზე მომქმედ ყველა საწარმოში; ამასთანავე გეგმების შედგენა დაიწყოს 1927-28 წლის გეგმით.

3. შემოღებულ იქნეს იმავე ვადაზე აღნიშნული ინსტრუქცია—შრომის დაცვის სამუშაოთათვის ოპერატიული გეგმების შედგენის შესახებ—აგრეთვე ყველა იმ წარმოებითი საწარმოში და დაწესებულებაში, რომელიც კოოპერატიული ორგანიზაციის გამგებლობაშია.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მარტის 31. ტფილისი—სასახლე.

ინსტრუქცია შრომის დაცვის სამუშაოთათვის ოპერატიული გეგმების შედგენის შესახებ.

1. ყველა სამეურნეო დაწესებულებამ და საწარმომ თავისი წლიური წარმოებითი-ფინანსიური გეგმის შედგენისას უნდა მოთავსოს ამ გეგმაში შრომის დაცვის სამუშაოთა გეგმა—ამა ინსტრუქციის მიხედვით.

2. შრომის დაცვის ღონისძიებათა გეგმა შედგენილ უნდა იქნეს შრომის პირობების გაჯანსაღების საერთო მიზნისა და ამა თუ იმ სამეურნეო ერთეულის უახლოესი პერსპექტივების მიხედვით. ამ გეგმაში ცალკე, ქვემოაღნიშნულ კართა მიხედვით, მოთავსებულ უნდა იქნეს მხოლოდ ის ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საჭოსთან ერთად—დამტკიცებული და ა/კსფსრ-ში ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. იანვრის 31-ს თარიღისა და მე-2 №-რის ცირკულარით შემოღებული სპეციალური ნომენკლატურაში:

ა) ყველა ის ძირითადი ღონისძიება სამრეწველო სანიტარიისა და უშიშრობის ტეხნიკის სფეროში, რაც ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომენტისათვის განსაზღვრულია სამეურნეო ორგანოს და შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს შეთანხმებით:

ბ) ის ძირითადი ღონისძიებანი შრომის დაცვის სფეროში, რაც დასახელებულ იქნება შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების წინადადებაში და რაზედაც ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება სამეურნეო ორგანოსთან;

გ) სხვა ღონისძიებანი შრომის დაცვის სფეროში, რაც, არსებულ კანონდებულებათა თანახმად, დასახელებულ იქნება შრომის ორგანოების წინადადებაში;

დ) ის ღონისძიებანი, რასაც სამეურნეო ორგანო თავისი ინიციატივით შეიმუშავებს.

შენიშვნა. „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გეგმაში მოთავსება როდი ანთავისუფლებს საწარმოს იმ მიმდინარე ხასიათის მოთხოვნათა შესრულებისაგან, რასაც შრომის დაცვის სფეროში შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები წარუდგენენ მას საოპერაციო წლის განმავლობაში.

3. გეგმა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ თვითეული ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯი ცალკე იქნეს აღნიშნული, თანახმად ამ ღონისძიებათა დანაწილებისა ამა ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ლიტერების მიხედვით. შრომის დაცვის ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯები წარმოებითი-ფინანსიურ გეგმაში აღნიშნულ უნდა იქნეს ცალკე გამოყოფილი პარაგრაფით.

4. ის ღონისძიება, რაც შრომის დაცვის ნომენკლატურით არ არის გათვალისწინებული, ხოლო სამეურნეო ორგანოს მიერ შეტანილ იქნება თავის წარმოებითი-ფინანსიურ გეგმაში შრომის დაცვის ორგანოს წინადადებით, მოთავსებულ უნდა იქნეს გეგმაში სათანადო წარმოებითი პარაგრაფით.

5. სამეურნეო ორგანო ისე ვერ წარუდგენს თავის წარმოებითი და ფინანსიურ გეგმას მაღლამდგომ ორგანოს განსახილველად და დასამტკიცებლად, თუ არ მოათავსა მასში შრომის დაცვის ღონისძიებანი; ამასთანავე იგი მოვალეა—ასული უმაღლეს ინსტანციაში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის იმ ნაწილისა, რაც შრომის დაცვას შეეხება, გაუგზავნოს შრომის დაცვის სათანადო ორგანოს.

6. იმ მომენტისათვის, როდესაც წარმოებითი-ფინანსიური გეგმა საგეგმო ორგანოში გაივლის, ყველა შეუთანხმებლობა სამეურნეო ორგანოსა და შრომის დაცვის ორგანოებ შორის გადაწყვეტილი უნდა იყოს:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოსათვის—შრომის სახალხო კომისარიატის შესაფერი ორგანოს მიერ, სათანადო სამეურნეო ორგანოს (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ადგილობრივი ორგანოს, უწყებისა ან აღმასრულებელი კომიტეტის) წარმომადგენლისა და პროფესიონალური კავშირის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით;

ბ) რესპუბლიკანური მრეწველობის საწარმოსათვის—ა/კსფსრ-ში შემავალი თვითეული რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, სათანადო სამეურნეო ორგანოს (რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყების) წარმომადგენლისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის ცენტრალური სამმართველოს წარმომადგენლის მონაწილეობით;

გ) საამერიკაკავასიო მნიშვნელობის საწარმოსათვის—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, სათანადო უწყების წარმომადგენლისა და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

7. როდესაც წარმოებითი-ფინანსიურ გეგმას სათანადო სახალხო მეურნეობის გამგე და საგეგმო ორგანო იხილავს, მიწვეულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს წარმომადგენელი ხსენებული გეგმის იმ ნაწილის განხილვაში მონაწილეობისათვის, რაც შრომის დაცვას ეხება. ყოველვვარი უთანხმოება გამგე ორგანოსა და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოს შორის—შრომის დაცვის ღონისძიებათათვის საჭირო ასიგნების გადადების თაობაზე,—რაც-კი გადაწყვეტილ არ იქნება მე-6 მუხლში აღნიშნულ წესისამებრ, გადაწყდება საგეგმო ორგანოებში წარმოებითი-ფინანსიური გეგმის განხილვის დროს.

8. ხარჯთაღრიცხვით შრომის დაცვის ღონისძიებათა საჭიროებისათვის დამტკიცებული თანხები გამოყენებულ უნდა იქნეს პირდაპირი დანიშნულებისამებრ სახარჯთაღრიცხვო წესით.

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა“-ს 1451 №-ში 1927 წ აპრილის 14-ს.

დადგენილება № 13 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

88. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა კაპიტალების შესახებ.

სსრკ სახალხო კოეისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა კაპიტალების შესახებ“ 1926 წ. ნოემბრის 12-ს თარიღით გამოცემული დადგენლების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა ის დაწესებულება, რომელიც-კი ფედერატიულ და რესპუბლიკაკურ ბიუჯეტზე იმყოფება, მოვალეა წარუდგინოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და მათ რწმუნებულთ ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში, კუთვნილებისამებრ, ცნობები მის განკარგულებაში ქონებული კაპიტალების შესახებ, რაც მოთავსებულია აქციებში, პაიებში, ობლიგაციებში და სხვა ფასიან ქაღალდებში. აღნიშნული ცნობების წარდგენის ფორმასა და ვადას განსაზღვრავენ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები და მათი რწმუნებულნი, კუთვნილებისამებრ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დაწესებულების გამგებლობაში მყოფი საწარმო, რომელიც სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედობს და სათანადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესით-კი არ არის ჩამოყალიბებული, ექვსი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს განსაზღვრული წესისამებრ, ხოლო მისთვის გადაცემული ფასეულობა მოთავსებულ უნდა იქნეს მის საწესდებო კაპიტალში.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული დაწესებულების მიერ ტრესტისა, სინდიკატისა, სააქციო საზოგადოებისა და სხვა იურიდიული პირისათვის არა-საწესდებო კაპიტალად და არა-აქციების (პაიების) გამოსაყიდად გადაცემული მატერიალური ფასეულობა შეიძლება დატოვებულ იქნეს ხსენებული იურიდიული პირების სარგებლობაში მარტოოდენ იჯარისა და სესხის ხელშეკრულობის საფუძველზე.

საიჯარო სასყიდელსა და სესხის პროცენტს, აგრეთვე სარგებლობისა და გადახდის ვადას განსაზღვრავს უწყება—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან და მათ რწმუნებულებთან (კუთვნილებისამებრ) შეთანხმებით.

4. ა/კ. ფინანთა სახალხო კომისარიატმა უნდა გამოსცეს საანალოგო ინსტრუქციები ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კ-ს სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ-ს სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. მარტის 31. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია [illegible]“-ში 1927 წ. აპრილის 15-ს.

ტფილისი, 1927 წ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1289. დაიბეჭდა 800.